სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *დავით აკობიძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	**20**
პროფესიული თვისებები	15	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	**10**
პროფესიული აქტივობა	1	**5**
ქულათა ჯამი	90	**100**

თარიღი : 9.12.24წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 9 დეკემბერი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **<u>დავით აკობიძის</u>**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **დავით აკობიძე.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 2 დეკემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით,

კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 34 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წელი), სპეციალობით მუშაობს 13 წელია, კერძოდ:

- 2012 წლის თებერვალი - 2012 წლის დეკემბერი, სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის რეფერენტი - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2012 წლის დეკემბერი - 2014 წლის ნოემბერი, თავმჯდომარის მოადგილის რეფერენტი, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის რეფერენტი - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2014 წლის დეკემბერი - 2015წლის აგვისტო, ადვოკატი - „ციცინო ცხვედიანის საადვოკატო ბიურო“;
- 2015 წლის აგვისტო - 2023 წლის ივლისი, მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ნოემბერი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 2019-2021 წლებში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მედიატორი - სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია;
- 2017-2023 წლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის სხვადასხვა ადგილობრივი საბჭოს წევრი;
- 2023 წლის აპრილი - ივლისი, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ კარგად/ძალიან კარგად.

კანდიდატ დავით აკობიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში საქმიანობის შესახებ. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საანგარიშო პერიოდში, კანდიდატი ერთ შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ასევე - ერთ შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

2024 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით დავით აკობიძე ცნობილ იქნა დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ დავით აკობიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

დავით აკობიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 82/18.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 8.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სამოქალაქო სამართალში* - დავით აკობიძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება

და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *ადმინისტრაციულ სამართალში* - დავით აკობიძე, არის ძალიან გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი. არის გულწრფელი, მიზანდასახული, საქმისადმი ერთგული და აქვს პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება. არის კორექტული, ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც კომუნიკაბელურმა ადამიანმა. გამოირჩეოდა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. სისხლის სამართალში - დავით აკობიძეს, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გააჩნია თავისი აზრის ნათლად ლაკონიურად და დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი. დაკისრებულ მოვალეობას ეკიდება მაქსიმალური პასუხისმგებლობით. ასაბუთებს გადაწყვეტილებებს წერისას. მისი გადაწყვეტილებები იკითხება ადვილად და გასაგებად. კანდიდატი არის კომუნიკაბელური, გაწონასწორებული და მშვიდი. გააჩნია საქმისადმი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის პუნქტუალური ასევე პროდუქტიული და ოპერატიული. დავით აკობაძეს, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს სათანადო თეორიული ცოდნა. რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ შესრულებული სამუშაოები თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იზრუნოს სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

დავით აკობიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთება"; „ფულადი ვალდებულებების შესრულების პრობლემური საკითხები"; ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრებისთვის პროფესიული განვითარების კურსი - „აქტიური მოსმენის უნარები მედიაციაში" და ა.შ.).

დავით აკობიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები, ასევე, ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ორი სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის

დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან, სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ პრეზუმფციას, არ გამაჩნია, „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

კანდიდატს გააჩნია პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, გამოირჩევა პიროვნული სიმტკიცით და შეუვალობით.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

კანდიდატი არის კორექტული, გააჩნია მოთმინების და თავშეკავების დიდი უნარი, არის ემოციურად გაწონასწორებული, სტრესულ სიტუაციებში აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატის აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი სამსახურსა და საზოგადოებაში, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული

კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიჩენილი იმ დასკვნამდე, რომ **<u>კანდიდატი დავით აკობიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია, როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის, ისე სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ასევე, საერთაშორისო სამართლის სათანადო ცოდნა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული <u>„სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შეფასდა</u> **<u>23 ქულით</u> (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი საკითხების ჯეროვანი გააზრების და სამართლებრივი ნორმის განმარტების უნარი, გააჩნია იმის კომპეტენცია, რომ განსაზღვროს სამართლებრივი საკითხები, აქვს უნარი კარგად დაასაბუთოს გადაწყვეტილების პროექტები მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული <u>„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს</u> **<u>23 ქულით</u> (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - დავით აკობიძეს შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება, ასევე წერილობითი დოკუმენტი ზედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. შეუძლია გრამატიკულად და სტილისტურად გამართულ ენაზე ნათლად და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი. გააჩნია სამართლებრივი ლექსიკონის ადეკვატურად გამოყენების უნარი. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. კანდიდატს შესწევს უნარი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი

მოტივები გასაგებად გადმოსცეს და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. მეტყველების დროს აზრს გადმოცემს ნათლად და გარკვევით, მეტყველებს გამართული ქართულით და ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალების მნიშვნელოვან ასპექტებზე.

აღნიშნული გარემოებების (მცირე ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **19 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, აქვს დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, საქმიანობაში ახასიათებს მენეჯერული უნარ-ჩვევები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატს ახასიათებს სიახლეების მიმართ ღიაობა, შესწევს თვითგანვითარების უნარი, ადვილად ითვისებს ახალ შესაძლებლობებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. კანდიდატი 2013-2014 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში.

დავით აკობიძეს 2014 წელს სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოეცხადა მადლობა, ასევე, 2021 წელს სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ გადასცა საპატიო სიგელი პანდემიის პერიოდში მედიაციის სფეროში შეტანილი წვლილისათვის და პროფესიის ერთგულებისათვის.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **1 ულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 90 ქულას.

ლევანი თევზაძე